საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ტფილ. ფასი 5000 მან. — პროვინც. 6000 მან.

№ 296

სამშაბათი სექტემბრის 19 1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ა. წ. სექტემბრის 30-თვის მოწვეულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

## აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია,

### შემდეგი დღიური წესრიგით:

1) მოხსენება ს—ს ცაკის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ. (მომხსენებელია ფ. მახარაძე).
2) პროექტი სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ. (მომხსენებელია შინ. საქმეთა სახ. კომის. ს. გეგეჭკორი).
3) მიწათმოწყობის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ. (მომხსენებელია მიწათმოქმედების სახ. კომ. ს. თოდრია).
4) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
5) პროექტი დებულებისა ადვოკატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
6) პროექტი დებულებისა პროკურატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
7) საერთო დებულება გადასახადთა სისტემის შესახებ. (მომხსენებელია ფინანსთა სახ. კომისარი).
8) მოხსენება სიმშილზე. (მომხსენებელია ფ. მახარაძე).

რადგან განსახილველი საკითხები ფრიად საყურადღებოა, დასწრება ცაკის ყველა წევრებისათვის აუცილებელია.

ს—ს ცაკის პრეზიდიუმი.

## სასურსათო გადასახადი და სოფლის საჭიროება

შარშანდელი მოუსავლობის გამო ქართველმა ხალხმა დიდი გასაჭირი განიცადა: სიმშილის შავი აჩრდილი ფიზიკური განადგურებით ემუქრებოდა მშრომელ საზოგადოებას. ხელისუფლების ენერგიულმა მუშაობამ და საგარეო ბაზრების მიზანშეწონილმა გამოყენებამ ხალხი გადაარჩინა ამ გასაჭირისაგან და საშუალება მისცა მას თავისი შრომა ნაყოფიერად გამოეყენებინა და თავიდან აეცილებინა უფრო დიდი მოსალოდნელი საფრთხე. შარშანდელი მოუსავლობის მთავარი მიზეზი იყო ბუნების სიჯიუტე და გამუდმებული გვალვები. ამას გარდა აუცილებლად წილი ედვა ამ მოვლენაში პოლიტიკურ მომენტებსაც.

წელს ხალხი დაშინებული შარშანდელის მოუსავლობით, ენერგიულად მოეკიდა მეურნეობის საქმესა და თითქმის არც ერთი მტკაველი მიწა არ დარჩენილა დაუთესავი., შარშან 80 ათას დესიატინაზე მეტი მიწა დარჩა გამოუყენებელი; ჩვენში სათესი მიწების ნაკლებობა არის, ჩვენი კულტურული ჩამორჩენის გამო მრავალი ფონდი მიწებისა ვერ გაგვიწმენდია და ვერ გამოგვიყენებია სამეურნეო მუშაობისათვის. ასეთს კრიზისს ისიც დაერთო გასულ წელში, რომ ხალხმა დიდი მოზრდილი სათესი მიწისა ვერ დაამუშავა და ამით ჩვენი სასურსათო კრიზისი უფრო გაძლიერდა. წელს ეს კრიზისი ძლეულ იქმნა სავსებით. სათესი მიწის მთელი ფონდი დაამუშავა მშრომელმა ხალხმა და შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ წარსულ წლებში რაოდენობის მიხედვით, ამდენი სივრცე მიწისა არასოდეს არ ყოფილა ჩვენში გამოყენებული როგორც წელს არის, ამ გარემოებას ხელი შეუწყო, როგორც ხალხის ენერგიამ და დაუცხრომელმა სურვილმა, აგრეთვე მთავრობის დახმარებამ. თავის დროზედ მიწოდებული იყო სათესლე მასალები, შემუშავდა გეგმები თესვის კამპანიის ჩატარების, რასაც ხელმძღვანელობდა თესვის კომიტეტი და სხვა მრავალი. ასეთმა ენერგიულმა დახმარებამ თავისი ნაყოფი გამოიღო და ხალხმა მოგვცა მაქსიმუმი იმისა, რაც შესაძლებელი არის დღევანდელს პირობებში. დღემდე ბუნებაც ხელს უწყობდა ენერგიულს შრომასა და თითქმის ყველა რაიონებსა და მაზრებში მოსავალს კარგი პირი უჩანდა.

სასურსათო გადასახადის კამპანიაც ამ მდგომარეობასთან იყო შეფარდებული, კარგი მოსავალი და სოფლის ეკონომიური დაწინაურება სახელმწიფოსათვის იმ მხრითაც არის საინტერესო, რომ სოფელი უფრო მეტს შემოსავალს აძლევს მას და რესპუბლიკის სალარო ამით მდიდრდება. აღმოსავლეთ საქართველოს მაზრაში სასურსათო გადასახადმა 16 სექტემბრისათვის მოგვცა 217,097 ფუთი ხორბალი, სულ 1922 წლისათვის მიწერილი იყო ათივე მაზრისათვის დაახლოვებით 575,000 ფუთი. ამ გვარად ერთ მესამედზედ მეტი არის შეკრებილი სასურსათო გადასახადისაგან. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ სასურსათო გადასახადის კამპანიას თავისი მუშაობისათვის მცირე დრო ჰქონდა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს რაოდენობა აკრებული ხორბლეულობისა საკმაო არის და სრულს იმედს იძლევა, რომ მომავალშიც თავისი შესაფერისი ტემპით განვითარდება. ყოველივე ეს შეეხება აღმოსავლეთ საქართველოსა, რადგან პურის მოსავალი იქ დამთავრებული არის.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ სხვა გვარი მდგომარეობა შეიქმნა. ბუნების სიჯიუტემ თავისი ჰქმნა და ახალი საფრთხის წინაშე დაგვაყენა. მოსავალს დასავლეთ საქართველოშიაც კარგი პირი უჩანდა და ხალხი აღფრთოვანებით შესცქეროდა თავისი შრომის ნაყოფს, მაგრამ ჯიუტმა ბუნებამ თავისი მახვილი ერთხელ კიდევ ჩასცა ჩვენს ხალხს და ახალი საფრთხე შეგვიქმნა. როგორც კორესპონდენტები იუწყებიან, დიდმა ნიაღვრებმა სამეგრელოს, გურიისა, აჭარისა და შორაპნის მოსავალ რაიონებში ნათესები სავსებით წალეკა და ხალხი დიდი გასაჭირის წინაშე დააყენა. ამ დაზარალებულ რაიონების მდგომარეობა მეტად მძიმე არის და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მათთვის სასწრაფო დახმარების აღმოჩენა. სხვათა შორის დიდმა ნიაღვარმა დიდი ზარალი მიაყენა ქიათურის რაიონს და ჩვენი მრეწველობის საქმე დიდათ შეაფერხა. ქიათურის შავი ქვის საზოგადოების ზარალი დაახლოვებით 1—2 მილ. მანეთამდე აღწევს ოქროთი. დღეს შეუძლებელია გამოკვლეული იქნეს, თუ როგორი ზარალი აქვს მიყენებული სხვა რაიონებს, სადაც ნიაღვარმა და წვიმებმა მთლად გაანადგურა მოსავალი, გზები, ხიდები, არხები, დამბები და სხვა მრავალი. ცხადია, რომ ამ რაიონების მდგომარეობა დაქანებით მოითხოვს დაუყოვნებლივ ყურადღების მიქცევასა და შესაფერი დახმარებით აღჭურვას... ეს დახმარება უნდა გამოიხატოს, როგორც სურსათ მასალების მიწოდებაში, ისე ტექნიკურსა და ფინანსიურს დახმარებაში. რასაკვირველია სასურსათო გადასახადისაგან სავსებით უნდა განთავისუფლდეს ის რაიონები, რომელთაც აღარ აქვთ საშუალება ასეთი რამეების გადახდისა...

რამდენიმე რაიონის დაზარალება ვერ შეაფერხებს ჩვენს მდგომარეობას და ეკონომიურ კრიზისს ვერ გაამწვავებს საქართველოში. საერთოდ დასავლეთ საქართველოშიც მოსავალს კარგი პირი უჩანს და თუ ბუნებამ ხელი არ შეუშალა, ხალხი თვით შესძლებს თავისი მოსავლით გამოკვებას. ასე რომ დაზარალებული რაიონები დარჩება მხოლოდ მთავრობის საზრუნავ საგნად უმთავრესად და ხელისუფლებაც მოვალე არის შესაფერისი ყურადღებითა და დახმარებით გამოეხმაუროს ამ რაიონებს.

## ეროვნული პოლიტიკისთვის

„სოციალისტური პარტიები, რომელნიც ვერ დაამტკიცებენ მთელი თავისი შემოქმედებით ეხლაც, რევოლიუციის დროსაც და მისი გამარჯვების შემდეგაც, რომ ისინი გაანთავისუფლებენ დამონებულ ერებს და დადგებიან მათ მიმართ თავისუფალი კავშირის ნიადაგზე—თავისუფალი კავშირი კი მატყუარა ფრაზაა თავისუფლად გამოყოფის გარეშე—ასეთი პარტიები ჩაიდენენ ღალატს სოციალიზმის მიმართ“.

ნ. ლენინი.

უკანასკნელი საუკუნოების რუკას თავის გავლენას ასვამდა ეროვნული იდეის სიძლიერე. უკანასკნელი საუკუნოების განმავლობაში ეროვნული იდეა ასრულებდა დიდი პოლიტიკური ფაქტორის როლს. ერთა სუვერენიტეტის იდეა საფრანგეთის რევოლიუციამ წამოაყენა და მან ახალი ერა შექმნა ერთა ცხოვრებაში. ამავე რევოლიუციას ბრალდებას უყენებენ, რომ მან თითონვე დაამსხვრია ერთა უფლებანი და შეიცვალა დაპყრობითი პოლიტიკის წარმოებას, მაგრამ ეს უფრო მართალია საკონსულოსა და იმპერიის შესახებ, ვიდრე ჟირონდისტებისა და მონტანიანების მიმართ, რომელნიც პატივისცემით ეპყრობოდნენ ნაციონალურ ერთეულთა უფლებებს.

ნაპოლეონის დამარცხებაც უნდა მიეწეროს არა მარტო მოსკოვის ყინვებსა და რუსეთის სიძლიერეს, არამედ უფლება შელახულ ერთა გამოყენებას კოალიციის მიერ, რომელმაც ბოლო მოუღო კორსიკელ რაინდს, თუმცა ამავე კოალიციამ ვენის კონგრესზე ფეხით გათელა ერთა უფლებები.

ეროვნული იდეა თან და თან მძლავრდება და იგი თუ ერთი მხრით ევროპის რეაქციის მამას, მეტერნიხს, შიშით დაათანხმებს საბერძნეთის განთავისუფლებაზე, მეორე მხრით დაამსხვრევს ვენის კონგრესის მიერ შექმნილ ლამაზ შენობას, შეერთებულ ნიდერლანდების სახით და ბელგიას გამოყოფს ჰოლანდიიდან. ესევე იდეა ავსტრიას განაძევებს გერმანეთიდან, რომს აკარგვინებს სასულიერო ტახტის სახეს და ნაციონალური იდეის მიერ გამთელებულ იტალიის სატახტო ქალაქად ხდის. იგი ოსმალეთის ბატონობას ავიწროებს ნაციონალურ ერთეულთა სასარგებლოდ და მთელი რიგი ომების შემდეგ ქმნის დამოუკიდებელ სერბიას, რუმინეთს, მთაშავეთს, თითქმის დამოუკიდებელ ბოლგარეთსაც.

ირლანდია ნაციონალური იდეის სიძლიერით ებრძვის ინგლისის ბატონობას. ავსტრიაში სლავიანური ელემენტები იბრძვიან გერმანელებისა და ჰუნგრების წინააღმდეგ ავტონომიური უფლებათათვის. გერმანეთი ერთიანდება ნაციონალური შეგნების ნიადაგზე და სხ. და სხ.

მე 19 საუკუნე სავსეა ანალოგიურ მოვლენებით. ამ საუკუნის ხასიათს შეადგენს ეროვნული იდეის მძლავრი გავლენა პოლიტიკურ მოვლენათა მსვლელობაზედ. ამიტომ არის, რომ თვით უძლიერესად ცენტრალისტებმაც კი გვერდი ვერ აუარეს ეროვნულ საკითხს და შეეცადენ მის გადაჭრას.

ლენინი, რომელიც სრულ გამოყოფამდე იცავს ერების უფლებებს და სოციალიზმის ღალატს ხედავს მათ მოქმედებაში, ვინც ვერ დაიცავს გამოყოფის უფლებას, რადგან „თავისუფალი კავშირი მატყუარა ფრაზაა“ გამოყოფის უფლების გარეშე, ესევე ლენინი გვეუბნება, რომ „სოციალიზმის მიზანს შეადგენს არა მარტო კაცობრიობის პატარა სახელმწიფოებად დანაწილებისა და ეროვნებათა კარჩაკეტილობის მოსპობა, არა მარტო ეროვნებათა დაახლოვება, არამედ მათი შეერთება. (слияние) *).

ესევე ავტორი გვეუბნება, რომ ალიარება ერთა თვითგამორკვევის არ უდრის ფედერაციის მიღებას, როგორც პრინციპისას, იგი მოგვაგონებს, რომ ფედერალიზმით სრულ ცენტრალიზმამდე მივალთო და მიგვითითებს მარქსის მაგალითზე, რომელიც უძლიერესი ცენტრალისტი იყო და ამავე დროს მხარს უჭერდა ირლანდიის ფედერატიულად დამოკიდებულებას ინგლისის მიმართ.

რა თქმა უნდა ასეთი რამ ჩვენთვის ახალი ამბავი არ არის. ბოლშევიზმა ნაციონალური საკითხი იმ თავითვე ტაქტიკის საკითხად დასახა და არა პრინციპის საკითხად. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკული პოლიტიკისათვისაც.

თანახმად მარქსისტული სოციოლოგიისა, რასაც იცავს ლენინიც, ეროვნულ ერთეულთა ასიმილიცია აუცილებელი შედეგია ისტორიული პროცესის. ეს დებულება მიუღებელი გამოდგა და ჩვენ ცოცხალმა ისტორიულმა პროცესმა დაგვანახა არა ასიმილიცია ნაციონალური ერთეულების, არამედ მისი დისასიმილიცია, მაგრამ აქ ეროვნული საკითხის სოციოლოგიური მხარე არ გვაინტერესებს. დეე, მორწმუნენი დარჩნენ მორწმუნებად. ხოლო თავის ღვდელთმსახურების დროს მსხვერპლად მოიტანენ საკურთხეველზე მას, რისი სიცოცხლე და არსებობა შეადგენს ჩვენი მოღვაწეობის და შემოქმედების იდეალს.

ამ მხრივ ჩვენთვის საჭიროა ეროვნულ საკითხის პოლიტიკური მხარე. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ერი თავის სიკვდილით კი არ კვდება, არამედ მას კლავს მახინჯი პოლიტიკური წყობილება. ამდენათვე თუ ჩვენ მივიღებთ ისეთი პოლიტიკური წყობილება, რომელიც აწმყოში ხელს უწყობს ეროვნულ პოტენციის გაშლას და ეროვნული ენერგიის განვითარებას, ერის შორეული მომავლის ბედი მივცენდვია ისტორიულ მსვლელობისათვის, რომელიც თავის თავად დაგვანახვებს ამა თუ იმ სოციოლოგიური კონცეპციის მისაღებლობას, თუ მიუღებლობას.

ბოლშევიზმს ეროვნულ ერთეულთა ასიმილიაციისათვის არ მიაჩნია საჭიროდ ამ პროცესის ხელოვნურად „ხელის შეწყობა. პირიქით, ლენინი გვეუბნება „ერთა აუცილებელ გაერთიანებას (слияние) კაცობრიობა მიაღწევს მხოლოდ გარდამავალ ხანაში, დამონებულ ერთა სრული განთავისუფლებით ე. ი. მათი გამოყოფის თავისუფლებით („свободой отделения“) *) (ხაზი ჩვენია ს. ა).

ჩვენ მხოლოდ ეს „სრული განთავისუფლება“ გვაქვს საზრუნავ საგნად. ერებმა უნდა მიაღწიონ „სრულ თავისუფლებას“. ეს არის ჩვენი ურყევი და კატეგორიული მოთხოვნა.

„სრულ თავისუფლების“ ნიადაგზე სდგას ბოლშევიზმიც. მართალია ეს „თავისუფლება“ მას მიაჩნია, როგორც ერთა მოსპობის წინამძღვრად, მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში სწორედ ეს თავისუფლება გვსურს სინამდვილეში გატარებული, პრაქტიკაში განხორციელებული.

როგორი პირობებია ამ მხრივ ჩვენში. არიან თუ არა საქართველოში ისეთი ხალხი, რომელნიც ლენინის სიტყვებით რომ, ვსთქვათ, „ჩადიან ღალატს სოციალიზმის მიმართ“, რადგან არ სდგანან „თავისუფალი კავშირის ნიადაგზე?“ ეს უკანასკნელი ხომ „მატყუარა ფრაზაა გამოყოფის უფლების გარეშე?“

ჩვენ ვამბობთ, რომ ამ მხრივ ცუდი სიმპტომები მრავლად მოიპოვება. ჩვენში დაცვა ამ გაერთიანების წინააღმდეგ მოქმედებისა შოვინიზმის სახელით არის მონათლული.

ჩვენ არ გავიმეორებთ მთელ იმ დახასიათებებს, რომელიც არა ერთხელ ყოფილა ჩვენს ორგანოში აღნიშნული გამაერთიანებელი ტენდენციის გამო; ვიტყვით მხოლოდ რომ ჩვენში არსებითაც ასცდნენ ლენინის დებულებათა რეალიზაციას და მკაცრად ვერ დაიცვეს „სრული თავისუფლება“ დამონებული ერის, რომელმაც მონობაში გაატარა ასეული წლები და ვერ ითმენს მცირეოდენ შევიწროების ოპერაციასაც კი.

ზოგი ლენინისტი თავის მიზნად ისახავს მას, რასაც ლენინი სოციალიზმის მიზნად სახავს. ეს კი მიუღებლად უნდა ჩაითვალოს.

ეროვნული პოლიტიკისათვის აუცილებელი საჭიროა, როგორც საკუთარი თეორიის მიგნება, ისე შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინება, რადგან ისტორიის ცოცხალი ფაქტები მას ჩაგვჩიჩინებს, რომ ვინც შესაფერად ვერ გადაჭრის ეროვნულ საკითხს, იგი თვით გადაიჭრება სოციალური ცხოვრების ულმობლობით.

როგორც ყოველთვის, ისე დღესაც ჩვენი დევიზი უნდა იყოს—სრული თავისუფლება. ჩვენი ენა სახელმწიფოებრივ მფარველობას უნდა გრძნობდეს. ჩვენი ჯარი დარაჯი უნდა იყოს მშრომელთა დიქტატურის და ერთად ერთი სამხედრო ძალა ხელისუფლების. ჩვენი საზღვრები უნდა თავდებოდეს იქ, სადაც იწყება არა ქართველი ხალხის ბინადრობა. ჩვენი კულტურის მფარველობა პირველ რიგში უნდა იყოს დასმული და მხოლოდ მაშინ შევძლებთ წითელი დროშის ამაყად ტარებას.

ერებმა მხოლოდ რევოლიუციაში უნდა ეძებონ თავისუფლება. აქ მას არავითარი კომპრომისები არ უნდა ელოდებოდეს წინ. დღეს, ვინც ეროვნულ მომენტს რევოლიუციის პროცესში უარყოფითად ახასიათებს, იგი ან სცდება, ან შეგნებული რეაქციონერია.

სერ. ამაღლობელი.

*) Н. Ленин „Соб. сочин.“ т. XIV გვ. 169.

*) ibid. გვ. 172.

## ოსმალეთ საბერძნეთის ომი

**ანტანტის მოთხოვნილებანი.**

ანგორა, 15 სექტ. გაზ. „იენი გიუნის“ ცნობით, საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის წარმომადგენლებმა კონსტანტინეპოლში ინახულეს ანგორის წარმომადგენელი ჰამიდ-ბეი და გამოსთქვეს რწმენა, რომ ქემალისტური არმია არ გადალახავს ნეიტრალურ ზონას ლარინ-ჯეს მახლობლად. ჰამიდ-ბეიმ აღუთქვა გადასცეს ეს განცხადება თავის მთავრობას ანგორაში.

**„დეე მთელმა ქვეყანამ იცოდეს“**

ანგორა, 15 სექტემბერი. ანტანტის წარმომადგენლების მიერ ჰამიდ-ბეისთან შეხვედრის გამო გაზ. „იენი გიუნი“ სწერს: „კონსტანტინოპოლი და მისი რაიონი არის ოსმალეთის მიწა-წყალი და მისი ნეიტრალიზაციის შესახებ ზედმეტია ლაპარაკი. კონსტანტინოპოლი ეკუთვნის ოსმალეთს და ოსმალეთი ახლო მომავალში გაანთავისუფლებს მას. გაზ. „იენი-გიუნი“ აცხადებს: „ჩვენ წინააღმდეგ მზადდება ინგლისის ფრონტი. დეე მთელმა ქვეყანამ იცოდეს, რომ ოსმალეთის ერის სიმტკიცე და მისი არმიის ძლევა-მოსილება მასაც გაუმკლავდება.

**რევოლიუციონურ ხალხთა მეგობრობა.**

ანგორა, 17 სექტ. პროვინციიდან მოდის ცნობები გრანდიოზულ მანიფესტაციების შესახებ. ადანში მანიფესტანტები მივიდნენ საბჭოთა რუსეთის საელჩოსთან და ერთსულოვანი მისალმებით გამოხატეს თავისი სიმპატია და მადლობა საბჭოთა რუსეთისადმი. საბჭოთა ელჩმა და საელჩოს თანამშრომელმა წარმოსთქვეს სიტყვები, რომელშიაც ხაზს უსვამენ რუსეთის და ოსმალეთის მეგობრულ გრძნობას. სამსუნში საბჭოთა საელჩოში გამოცხადდა დელეგაცია გუბერნატორის, ქალაქის თავის და ადგილობრივ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციების წარმომადგენლების შემადგენლობით. დელეგაციასთან ერთად გამოცხადდა ბეკირ სამი-ბეი, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა და მადლობა გამოუცხადა რუსეთს დახმარებისათვის. ბეკირ-სამი-ბეიმ ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის დახმარების გარეშე ოსმალეთის გამარჯვება შეუძლებელი იქნებოდა.

**ოსმალეთის გამარჯვების გამოძახილი**

კონსტანტინეპოლი, 17 სექ. სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ სტამ-

ბილში სწარმოებს აგიტაცია ქემალისტების სასარგებლოდ. გამოსთქვამენ შიშს სტამბოლის მცხოვრებთა მხრივ რაიმე მოულოდნელ გამარჯვების წინაშე. მოკავშირეთა ხელისუფლების მიერ კონსტანტინოპოლში მიღებულია ზომები აჯანყების წინააღმდეგ. ფრაკიის სანაპირო რაიონებთან მოდის საშიში ხმები: საბერძნეთის ჯარისკაცები დაქანცულობის გამო ხოცავენ თავის აფიცრებს და დეზერტირობენ. ამ საშიშ მოძრაობის დასაწყისში ვენიზელოსის მიმდევრები შეეცადნენ ხელში ჩაეგდოთ მოძრაობის ხელმძღვანელობა, დასავლეთ ფრაკიაში დამოუკიდებელ რესპუბლიკის გამოსაცხადებლად, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა, ვინაიდან საბერძნეთის არმიის მოძრაობას აჯანყების ხასიათი აქვს. კირკილისის მახლობლად მოხდა ბერძენ—სალდათების საერთო მღელვარება. ეს ღელვარება გავრცელდა ადრიანოპოლის რაიონშიაც. მოელიან საერთო არეულობას. ბულგარეთის მხრივ არავითარ მოქმედებას ადგილი არ ჰქონია.

# რუსეთი

### ბრძოლა კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ.

**ხარკოვი.** 6 სექტ. კიევში დაიწყო პეტლიუროვის კონტრ-დაზვერვის საქმის განხილვა. ბრალდებულების შორის იმყოფება მეფის, დენიკინის და პეტლიუროვის არმიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ალექსეევი, რომელიც იყო გაგზავნილი უკრაინაში მე 6 ე პოლონური არმიის მეორე განყოფილებისა და პეტლიურის კონტრ-დაზვერვის მიერ კონტრ-რევოლუციონური მუშაობისათვის. ყველა ბრალდებულებმა აღიარეს დანაშაული. სასამართლოს მოეპოვება ბევრი ნივთიერი საბუთები, მანდატები, დოკუმენტები მეექვსე პოლონური არმიის მეორე განყოფილებისაგან მათ შორის ალექსეევის მანდატები პოლონურ არმიის აღნიშნულ განყოფილებისაგან № 625 და მანდატი ბანდიტების ატამანის ტიუტიუნიკისა № 347. კიევში კი დამთავრდა ეგრეთ წოდებულ მეორე მარჯვენა ნაპირის პეტლიუროვის ორგანიზაციის საქმის განხილვა.

ბრალდებულები ემზადებენ იარაღით გამოსვლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, მუშაობა სწარმოებდა კიევის გუბერნიის 6 მაზრაში და აგრეთვე ბობრინკაია—სმელა ჩერკასი, ეკრისტინოვკა, უმანის რკინისგზის ხაზზე. უშვებდნენ, პროვოკაციულ ფურცლებს, ხდებოდა სახელმწიფო დაწესებულებების ძარცვა და სხვა. ბრალდებულები მჭიდრო კავშირში იმყოფებოდნენ პეტლიურას მეორე ორგანიზაციასთან, ეგრეთ წოდებული ყაზახთა რადასთან. სამხედრო რევტრიბუნალის საგანგებო სესიამ იცნო ბრალდება დამტკიცებულად 88 ბრალდებულების წინააღმდეგ, რომელთაც მიუსაჯეს დახვრეტა. 27 ბრალდებულებს რომელთაც ბრალი ედებოდათ თანაგრძნობაში, მიუსაჯეს სავალდებულო სამუშაო 1—5 წლამდე თავისუფლების მოსპობით. 28 ბრალდებულები ბრალდების დაუმტკიცებლობის გამო გაამართლეს და გაანთავისუფლეს.

### ყრილობები.

**მოსკოვი.** 16 სექ. გაიხსნა მდინარეების ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად რუსეთის ყრილობა. აგრეთვე გაიხსნა სატყეო-სამელიორაციო მუშაკთა ყრილობა. 10 სექტემბრისათვის დანიშნულია მოსკოვში სახალხო განათლების საგუბერნიო განყოფილებათა გამგეების ყრილობა, რომელიც გაიყოფა 4 სექციათ. სამიუჯეტო, სკოლის სამშენებლო, საორგანიზაციო, საზოგადოებრივი და კერძო ინიციატივის. ყველა დელეგატებს ევალება თან იქონიონ მასალები. ადგილობრივ სახალხო განათლების საქმის დასახასიათებლად.

### ბრძოლა ბინის კრიზისთან.

**მოსკოვი.** 16 სექ. საბინაო კრიზისი მოსკოვში თანდათან რთულდება, მოსკოვში ჩამოსულების რიცხვი თანდათან იზრდება. მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა დაარსა საგანგებო საბინაო სექცია, რომელსაც ევალება მოაგვაროს იმ საცხოვრებელ შენობების გამოყენების საქმე, რომლებიც უჭირავთ მოსკოვის საბჭოს განყოფილებებს და ცენტრალურ უწყებების დაწესებულებებს.

### სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მეხუთე ყრილობა.

**მოსკოვი.** 16 სექ. სრულიად რუსეთის პროფკავშირთა მეხუთე ყრილობის გახსნა მოხდება 15 სექტემბერს.

# რუსეთი და ჩინეთი

მოსკოვი. 17 სექტემბერი. ინგლისის ოფიციოზი შანხაიში სწერს, რომ პეკინში იოფფეს ყოფნას უშედეგოდ არ ჩაუვლია, ვინაიდან მან თავის გარშემო შემოიკრიბა ჩინეთის ახალი ინტელიგენცია, რომელიც ითამაშებს მთელი ქვეყნის დაახლოვების გამავრცელებლის როლს.

### სამთამადნო მუშების შორის.

მოსკოვი. 17 სექტემბერი. ნოსკოვში გახსნილ სამთამადნო მუშების ყრილობაზე მონაწილეობას ღებულობენ სამთამადნო მრეწველობის ყველაზე უფრო დიდი რაიონები. დონის აუზის სამრეწველოების წარმომადგენელთა მოხსენებაში აღნიშნულია დონის აუზის პროფესიონალურ ორგანიზაციების მძიმე მდგომარეობა. დონის აუზის ვალების გასასტუმრებლად საჭიროა 5 ტრილიონი მან. ბაქოს პროფორგანიზაციების მდგომარეობა უფრო საიმედოა, იქ ამას წინად დამთავრდა სამრეწველოების კომიტეტების ხელახალი არჩევნების კამპანია. პროფესიონალურ ორგანიზაციების თავისუფალი წევრობა განხორციელებულია. 80-პროცენტულ საურთიერთო დახმარების კასები მოწყობილია, თითქმის ყველა რაიონებში, უმუშევართა რიცხვი უმნიშვნელოა. ურალის ბიურომ აღნიშნა ურალის სამთამადნო მუშების რიცხვის შემცირება.

### რადიო კონცერტი.

მოსკოვი. 17 სექტემბერი. მოსკოვის რადიო-ტელეფონის სადგურს განზრახული აქვს გამართოს კონცერტი, უმთავრესად პროვინციების აუდიტორიებისათვის, კონცერტი შეუძლიათ მოისმინონ ყველა ქალაქებმა, სადაც არის რადიო სადგურები და აგრეთვე მოსკოვის ზოგიერთმა დაწესებულებებმა, სადაც დადგმულია რადიოს მიმღები მანქანები.

### დონის აუზში.

მოსკოვი. 17 სექტემბერი. დონის აუზში ეჩნევა მუშა-ძალის ზრდა, მაგრამ ამავე დროს გრძელდება კვალიფიცურ მუშების დონის აუზიდან წასვლა მატერიალური უზრუნველყოფის უქონლობის გამო. ამერიკიდან ჩამოსული 32 მუშა მუშაობდენ იუზოვკის მაღაროებში. ამერიკელი მუშები აწარმოებენ 2-ნახევარჯერ მეტს. ვიდრე რუსის მუშები. ამერიკელ და დონის მემაღაროების შორის დამყარდა მეგობრული განწყობილება. ამერიკიდან მოელიან კიდევ 200 მუშა-მემაღაროებს.

### კიევის საკონტრაქტო ბაზრობის განახლება.

მოსკოვი. 17 სექტემბერი. ნიჟეგოროდის ბაზრობის სასურველმა შედეგებმა წააქეზეს კიევის სამეურნეო ორგანოები მიეღოთ გადაწყვეტილება მომავალი წლიდან კიევის საკონტრაქტო ბაზრობის განახლების შესახებ. ბაზრობა 5 თებერვალს გაიხსნება.

### სამშობლოში დაბრუნება.

მოსკოვი. 17 სექტემბერი. უკრაინის საბჭოთა ხელისუფლების ნებადართვით, უკრაინაში ჩამოვიდა პეტლიურას არმიის გენერალი მარტინიუკი, რომელმაც შეიტანა განცხადება ჩადენილ დანაშაულების პატიების შესახებ. მარტინიუკი შეწყნარებული იქნა.

### დაზღვევის კამპანია.

მოსკოვი. 17 სექტემბერი. სამარაში დაზღვეულია 20.000 მუშა. დაზღვევის გადასახადებს კერძო დაწესებულებები წესიერად იხდიან, მაგრამ სახელმწიფო დაწესებულებებში საშუალებათა უქონლობის გამო, გადასახადების შემოტანა ფერხდება. დაიწყო მოქმედება პირველმა ამბულატორიამ, რომელიც მოაწყო დაზღვევამ კასამ.

— ტულას გუბერნიაში მოწყობილია 16 დაზღვევი კასა, რომელიც აერთიანებს 1300 წარმოებას და 70 000 მუშას.

# ახალი ამბები

— **სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის დეკრეტები.** სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ დამუშავებულია მთელი რიგი დეკრეტების პროექტებისა, რომელთა შორის აღსანიშნავია: 1. საექიმო განცხადებათა და რეკლამების შესახებ, 2. საექიმო პერსონალის მიერ პროფესიონალურ სამუშაოს მიღების წესის შესახებ, 3. კერძო სამკურნალო დაწესებულებათა გახსნის შესახებ, 4. სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატის ხარჯების შესახებ, რომლებიც გაწეულ უნდა იქნეს სახელმწიფო და ადგილობრივ დაწესებულებათა მიერ, 5. ყვავილის სავალდებულო აცრის შესახებ. ყველა დამუშავებული დეკრეტების პროექტები წარდგენილი იქნება სახალხო კომისართა საბჭოში.

— **ჯანმრთელობის განყოფილებათა გამგეების ყრილობა.** სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატს განზრახული აქვს ოქტომბრის შუა რიცხვებში მოიწვიოს ტფილისში ქალაქებისა და მაზრების ჯანმრთელობის განყოფილებათა გამგეების ყრილობა.

— **ყრილობა დედებისა და ბავშვების მფარველობის შესახებ.** გაიხსნება ოქტომბრის 15, მუშათა სასახლის დიდ დარბაზში და გაგრძელდება 5 დღეს. გარდა რ. ს. ფ. ს. რ. სახ. ჯანმრთელობის კომისართა, პერსონალურად მოწვეულნი არიან პროფესორები: ანფიმოვი, გოგიტიძე, კორნიცკი, ტროიცკი და ცვეტაევი. საქართველოს სხვა და სხვა ორგანიზაციებისაგან და კერძო პირებისაგან დამზადებულია მოხსენებათა საკმაო რიცხვი. მოელიან მოხსენებებს სომხეთიდან, აზერბეიჯანიდან და მთის რესპუბლიკისაგან.

— **საჭიროა ექიმები** ზუგდიდის, ოზურგეთის, ლეჩხუმის და ზოგ სხვა მაზრებისათვის. თავისუფალია სამკურნალო პუნქტების გამგების და ორი დოსტაქარის ადგილი.

— **ბავშვთა ქალაქი-კოჯორი.** სრ. ს. ც. აღმასკომის მიერ წინადადება მიეცა ქალაქის აღმასკომს წარუდგინოს სია იმ შენობების შესახებ, რომელნიც უნდა გადაეცეს ქალაქის აღმასკომის განკარგულებაში.

— **კამოს სახელობის საბავშვო სახლი.** ტფილისის ქალაქის აღმასკომი შეუდგა კამოს სახელობის საბავშვო სახლის № 2 შეკეთებას ახალ ბებუთოვის ქუჩაზე.

— **საზღვარ გარეთ გაგზავნა.** ტრამვაის მთავარი ინჟინერი ცაცაძე იგზავნება გერმანეთში და ჩეხო-სლოვაკიაში ტრამვაის ნაწილების შესაძენად.

— **ქინაქინის შეძენა.** ბათომში გაემგზავრა ჯანმრთელობის კომისარიატის საფარმაცევტო განყოფილების გამგე ე. საბაშვილი ადგილობრივად ზოგიერთი პრინციპიალური საკითხის გადასაწყვეტად და ქინაქინის შესაძენად.

# პარტიაში

ოთხშაბათს, 20 სექტემბერს პარტიის ცენტრალურ კლუბში საღამოს 6 საათზე დანიშნულია ახალგაზდა კავშირის გამგეობის სხდომა.

# სამხატვრო ქრონიკა.

— **ქართული დრამა.** სექტემბრის 18-ს შესდგა რეპერტუარის გამომამუშავებელი კომისიის სხდომა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ რეჟისორები, თეატრის გამგე და სხვ. გამომუშავებულია მთელი წლის რეპერტუარი, რომელიც შესდგება უმთავრესად ორიგინალურ და კლასიკურ პიესებიდან.

— **რეჟისორ მარჯანიშვილს** განზრახული აქვს დასდგას ქართულ სცენაზე. მოლიერის პიესა „მდაბიო მოქალაქიდან გააზნაურებული“.

— **ქართულ მსახიობთა** საყურადღებოდ ცხადდება, რომ სეზონში მოწვეულნი მსახიობნი უნდა გამოცხადნენ რუსთაველის თეატრში ხუთშაბათს, 21 სექტემბერს, 12 საათზე.

— **ქართველ მსახიობთა კავშირის** საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტის წინაშე, რათა პენსია დაენიშნოს ქართული თეატრის დამსახურებულ სცენარიუსს გ. იორდანიშვილს.

— **ჭიაურელის საღამო.** დღეს რუსთაველის თეატრში დიდი საღამოა მსახიობ მ. ჭიაურელისა. წარმოდგენილ იქნება ნ. შიუკაშვილის პიესა „სულელი“. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობენ ვ. აბაშიძე, ნ. გოცირიძე, გრიშაშვილი, სარაჯიშვილი, ბლიუმენტალ-თამარინი და სხვ. ჭიაურელი, როგორც ვიცით, ამ კვირაში მიემგზავრება უცხოეთში სწავლის მისაღებად და ამ გამოსათხოვარ საღამოს ქართველი საზოგადოება ეჭვს გარეშე, რომ ღირსეულად შეხვდება.

— **სოხუმის თეატრი.** ადგილობრივ დრამატიულ წრეს წელს გადაწყვეტილი აქვს სოხუმში აწარმოვოს ქართული სეზონი, პროფესიონალი სამი მსახიობის დახმარებით, რომელნიც გამოწვეულნი იქნებიან ტფილისიდან.

— **ფოთის თეატრი.** ფოთიდან ჩამოვიდა დრამატიულ კომიტეტის რწმუნებული, რომელსაც მოლაპარაკება აქვს ქართველ მსახიობებთან მომავალ სეზონისათვის. განზრახულია [illegible] პროფესიონალ მსახიობის მოწვევა. [illegible] წარმოდგენა [illegible]. ადგილობრივი თეატრის შეკეთებას სწარმოებს. განზრახულია დეკორაციების შესწორება და ახლების დახატვაც.

— **ქართული რეპერტუარი.** მიმდინარე სეზონში სხვათა შორის განზრახულია შემდეგი ახალი პიესების დადგმა: „მაკბეტი“ უ. შექსპირისა, „სამანიშვილის დედინაცვალი“ დავ. კლდიაშვილისა „პაატა ბატონიშვილი“ დ. ნახუცრიშვილისა, „ჰამლეტი“ უ. შექსპირისა, „ვრიგალი“ და სხვ. დაწვრილებით შემდეგ.

# უნივერსიტეტი—შევარდენი

რევოლუციამ ორი დიდი მონაპოვარი მიანიჭა ქართველ ერს. პირველი მათგანი სახელმწიფო უნივერსიტეტია. მასში უკვე არსებობს თითქმის ყველა ფაკულტეტი და გარდა ამისა აქვს პოლიტეხნიკური და აგრონომიული განყოფილებები. ოთხი წლის არსებობის შემდეგ რამოდენიმე ფაკულტეტი მაგ. აგრონომიული და სიბრძნის-მეტყველების უკვე იძლევიან კურს დამთავრებულებს. ქართულ უნივერსიტეტის სწრაფი განვითარება, გაზრდა თავდებია, რომ საქართველო ახლო მომავალში მოფენილ იქმნება ქართულ ნიადაგზე აღზრდილ-ნასწავლ მომუშავეებით. სახ. უნივერსიტეტი თავდებია ქართველ ერის გამოღვიძებისა და თვის კულტურის შექმნისა.

მეორე ქართველ ერის სიამაყე რევოლუციითვე დაბადებული არის ტანსავარჯიშო საზოგადოება „შევარდენი“. მასსაც ოთხი წლის ისტორია აქვს და მასსაც მოკლე ხნის განმავლობაში ისეთი გზა გაუვლია, რაც სხვა ერისათვის 20—30 წელიწადს მოითხოვდა. ოთხი წლის განმავლობაში ს—მა შევარდენი გაიშალა ოც (20) საზოგადოებად, და მოეფინა საქართველოს ყოველ კუთხეს. მას აქვს მიზნათ გააჯანსაღოს ქართველი ერი და ამით მოამზადოს ყოველი მოქალაქე ცხოვრების სიდუხჭირის შეგუებას. „ჯანსაღი გონება ჯანსაღ სხეულში“—ამბობდნენ ძველი ბერძნები. ქართულ უნივერსიტეტს აქამდის დიდი ნაკლი ჰქონდა—იქ სრულიად არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ ტანვარჯიშობას. არ ვიცი, რით ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის გამგეობა, როდესაც შლიდა ტანსავარჯიშო დარბაზს. ნუ თუ სადმე ქვეყნიერებაზე მათ ნახეს რამე ამის დაგვარი? ყველა ამერიკის უნივერსიტეტებში ტანვარჯიშობის რომელიმე დარგი მაინც სავალდებულოა სტუდენტისათვის, ყველა უნივერსიტეტში არის მოწყობილი დარბაზი, ბაქნები და სხვ. საუკეთესო სარბიელები აქვს მოწყობილი იენის, ფილადელფიის და გოვარდის უნივერსიტეტებს. არც ევროპაა ბევრად ჩამორჩენილი ამერიკისაგან. ოკსფორდის უნივერსიტეტის სარბიელი 30.000 მაყურებელს იტევს. ინგლისის უნივერსიტეტებში ფეხბურთის წვრთნელი იმდენსავე ჯამაგირს იღებს, რამდენსაც სხვა პროფესორი. ეს ეხლა—რა იყო ძველად, ვიკითხოთ, ჩვენი წინაპრების გამოცდილებაც გამოვიყენოთ. ძველი ქართული ლიტერატურის ყოველი ნაწარმოები მოწმობს თუ როგორ უყვარდა ქართველ ერს ჯომარდობა (სპორტი). (არჩილიანი, ვეფხვის-ტყაოსანი და სხვა).

ძველ საბერძნეთის მოქალაქის უმაღლეს სურვილს შეადგენდა ჯანსაღ და ლამაზ ტანის ქონა. მათი ფილოსოფოსები: პითაგორი, ხრისიპსი, დემონაქსი, სოფოკლე, ევრიპიდე, ტიმეკრეონი მეტად გატაცებულნი იყვნენ ვარჯიშობით, მათგან პითაგორი და პლატონი ოლიმპიურ დღეობაში იღებდნენ მონაწილეობას და პირველმა (პითაგორმა) გაიმარჯვა კიდეც ერთხელ. მაშ მივბაძოთ მათ შევატანოთ ტანვარჯიშობა უნივერსიტეტში.

დიდი ხანია ეს აზრი ოცნებათ უტრიალებდა შევარდენთა კავშირის გამგეობას, დიდი ხანია სცდილობდენ ამას და აი მგონი მოახლოვდა ამ ოცნების საქმეთ გარდაქმნისა.

უკვე დაწყებულია მუშაობა, რათა უნივერსიტეტის ერთ-ერთი დარბაზი გადაკეთდეს ტანსავარჯიშო დარბაზად. ამ მუშაობას ასრულებს შევარდენთა კავშირი და მას შეელიან როგორ გგონიათ ვინ? მარტო ისინი კი არა, ვინც უნდა შეველოდეს. შეელის ფულით თუ მასალით რამდენიმედ სამხედრო უწყება და... ფოსტა-ტელეგრაფი.

ვინც ვალდებულია დაეხმაროს, ის კი მდუმარებს. მოიგონეთ თქვენი ვალდებულობა ქვეყნისაკენ მიმავალ ახალგაზრდობისადმი, მოეხმარეთ ყველანი შევარდენთა კავშირს მის დიად მიზანში.

გიტო გიორგაძე.

# ახალი რეფორმა და ჩვენი სახალხო მასწავლებლობა

ყოველი ერის მომავალი, მისი ნორჩი თაობის, ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარებაზედაა დამოკიდებული... ეს ჭეშმარიტება ყოველ კულტურულ ხალხს მშვენივრად აქვს შეგნებული და სწორედ ამისთვისაა, რომ ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რომ თავიანთი მომავალი, სწორედ ახალგაზრდობის სადი აღზრდით, მათი დღევანდელ გართულებულ ცხოვრებაში მომზადებულ გამოსვლით უზრუნველ ჰყონ.. მომავლისათვის ფიქრი, კულტუროსან ხალხის ნიშნობლივი თვისებაა—და მართლაც, ვინც დაუკვირდება სინამდვილეს, ადვილად შეამჩნევს, რომ რამდენადაც კულტურულად წინ წასულია ესა თუ ის ერი, იმდენად მეტსა ზრუნავს, იმდენად უფრო მეტ სხვა და სხვა გზის გამონახვას სცდილობს ნორჩი თაობის აღზრდელად.

ყოველი ახალი რეფორმა, ახალი გზებისა და საშუალებების ძიება ამ საქმისათვის—უსათუოდ დიდ კულტუროსან ხალხში იწყება და ამის მაგალითია: გერმანეთი, ამერიკა და სხვ... მაგრამ არც მარტო რეფორმები კმარა. ცხოვრებაში მათ გასატარებლად უსათუოდ საჭიროა შექმნა სათანადო პირობებისა, უამისოდ, ყველასათვის ცხადია, რომ ვერც ერთი რეფორმა, რომელ დარგშიაც არ უნდა იყოს იგი მომხდარი და რა ღირსებისაც—მხოლოდ ფუჭი ოცნებაა... მარტო რეფორმები ვერასოდეს ვერ მიგვიყვანს სასურველ შედეგამდე, თუ საამისოდ ნიადაგი არ მოუმზადეთ და თავიდანვე სასურველ სიმაღლეზედ არ დავაყენეთ..

ესეც მშვენივრად აქვს შეგნებული განათლებულ კაცობრიობას. ამის ცხადი მაგალითი იგივე გერმანია გახლავთ; შეიძლება ითქვას, რომ იმდენად არც ერთი ერი, სახელმწიფო არ ზრუნავს სასკოლო საქმეებზედ, სწავლების ახალ საშუალებათა გამონახვაზე და სასწავლებლების ახალ ტიპების შექმნაზედ და რაც ყველაზედ უმთავრესია, სახალხო მასწავლებლების ყოველმხრივად უზრუნველყოფაზედ—როგორც გერმანეთი და სწორედ ამითი აიხსნება უმთავრესად მისი დიადი კულტურული წინწასულობა... იქ შეგნებული აქვთ სახალხო მასწავლებლის როლი და მნიშვნელობა სკოლაში და საზოგადოებაშიდაც.

მასწავლებლის დანიშნულება მხოლოდ ის არის, რომ სახელმწიფოს, ერს, ღირსეული მოქალაქე აღუზარდოს; ის მთელ თავის ენერგიას სწორედ ამ ასპარეზზედ სწვავს და ნუ თუ ვისმესთვის ძნელი დასანახავია ამ წმინდა და დაუღალავ შრომის ნაყოფი!—შეხედეთ გერმანელ ახალგაზრდას, რომელსაც სახალხო სკოლა დაუსრულებია. ის მომზადებულია ცხოვრებაში გამოსასვლელად, აღჭურვილია გასაოცარი ენერგიითა და ხასიათის სიმტკიცით... მას გარკვეული აქვს რა უნდა გააკეთოს და რის გაკეთებაც შეუძლია, იგი არ მერყეობს, არ უშინდება ცხოვრების ეკლიან გზაზედ არავითარ წინააღმდეგობას მაშინ, როდესაც ქართველი ახალგაზრდა პირველ დაბრკოლებისთანავე მზადაა გადაუხვიოს პირველად არჩეულ გზას, იგი მისთვის სრულებით შეუფერებელ რასმე ჰკიდებს ხელს იმ იმედით, რომ იქ ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდება, მაგრამ მალე იმედები უცრუვდება, ცხოვრების სინამდვილე მის სურვილებსა თუ მიზნებს ნამსხვრევებად აქცევს და ამით პიროვ-

ნებაც იჩაგრება, ისპობა აქედანაა, რომ ჩვენ თითქმის არა გვყავს მთლიანი პიროვნებები.

რით აიხსნება ასეთი წინააღმდეგობა, კონტრასტი ჩვენსა და გერმანელებს შორის? ამ კითხვაზე ძნელია გადაჭრილი პასუხის გაცემა, რადგან სამისოდ ბევრი მიზეზები არსებობენ, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზთაგანი და, შეიძლება ითქვას, უმთავრესიც—გახლავს, ჩემის აზრით პირობათა ის სხვა და სხვაობა, რომელშიდაც იზრდება ქართველი ახალგაზრდა და გერმანელი... როგორი წესით იზრდება ქართველი ახალგაზრდა!—უნდა ითქვას, რომ დღემდის არსებული სწავლების წესი იყო დახავსებული, ყოვლად მიუღებელი და გამოუსადეგარი ცხოვრებისათვის...

ბოლოს და ბოლოს გიმნაზიებმა თითქმის სრულებით დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა, კიდევ უარეს მდგომარეობაში იყვნენ ეგრედ წოდებული „სახალხო სკოლები"... რადგან მათზე არავინ ზრუნავდა და მათ დასრულებისას ახალგაზრდას არ შეეძლო არც პრაქტიკულად და მით უფრო არც თეორიულად რაიმე ღირებულება შეექმნა, ის გამოდიოდა ცხოვრებაში სრულებით მოუმზადებელი და სასწავლებელში გატარებული საუკეთესო წლები, თითქმის დაკარგული იყო მისთვის... განა ხელბულ ხანისათვის, ყოვლად გამოუსადეგარი და მიუღებელი იყო. ასეთი ტიპის სასწავლებლების არსებობა, რადგან ისინი ვერ ასრულებდენ თავიანთ დანიშნულებას და აი, დღეს ცელობით ჩვენში განზრახულია გატარდეს დიდმნიშვნელოვანი, ახალი სასკოლო რეფორმა... ძველის შეცვლა აუცილებელი იყო, ეს თითონ ცხოვრების ურყევი მოთხოვნილება გახლდათ. ახალი სისტემა, რომლის შემოღებაც განზრახულია და აგერ თითქმის ერთი წელია მუშაობა სწარმოებს, ცნობილია როგორც საუკეთესო სისტემა, მხოლოდ, ნუ დაივიწყებთ, რომ ეს ჯერ-ჯერობით ჩვენში მხოლოდ ქაღალდზეა არის დაწერილი.. ჯერ ჯერობით ჩვენი სასწავლებლის უბრალო სახელწოდება შეცვლილა, თორემ რაიმე ძირითადი ცვლილება კიდევ არ მომხდარა და მე მგონია, რომ ეს არც ადვილი საქმეა. ყოველ სასწავლებელს, უპირველეს ყოვლისა მასწავლებელი აცოცხლებს... განახლებულ სკოლას თავისი მასწავლებელი ესაჭიროება, თავისი სულის ჩამდგმელი... გვყავს კი ჩვენ სათანადოთ მომზადებული მასწავლებლები, რომელთა მხრებზედაც უნდა გადაიაროს მთელმა სიმძიმემ ამ ახლად დაწყებულ დიდი საქმისამ? ჩვენდა საუბედუროდ ასეთი ხალხი და, განსაკუთრებით, სახალხო მასწავლებელთა მომზადებული კადრი ჩვენ დღეს არა გვყავს!

გრ. შავგულიძე.

(დასასრული იქნება)

# ტფილისის აღმასკომის ანგარიშები

საბჭოთა სისტემის სახელმწიფოებრივ ფორმის ერთ დადებით მოვლენას შეადგენს აგრეთვე ისიც, რომ მთელი აპარატის ყოველი ორგანო, მოქმ. ანგარიშები ჩაკეტილ კარებში არ რჩებოდა—შესაფერ ფორმაში მოყვანის შემდეგ, ეძლევა ხალხს განსახილველად და გასარჩევად. ამ უწყებებს, ცხადია, არ ეშინიათ ობიექტიური კრიტიკის, ხალხის შეხედულების და საზოგადოებრივ აზრის არ გაურბიან, თავისი მოქმედების დადებითი და უარყოფითი მხარეები მთლიანად გამოაქვთ საჯაროო ველზე, არც ერთი მხარის შეუფერავად და ხელოვნურად შეულამაზებლად, თავისი ბუნებრივი სახით.

ამ ცემად ჩვენ წინ არის სქელი ფორმატიანი წიგნი, რომლის გამოცემა ეკუთვნის ტფილისის ქალაქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და რომელიც შეიცავს ამავე უწყების ოთხი თვის (იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის 1922 წ.) ანგარიშებს. ეს წიგნი აღმასრულებელი კომიტეტის ყველა განყოფილებების სტატისტიკურ ანგარიშებს უყრის თავს აღნიშნული დროის განმავლობაში.

როგორც ამ წიგნის წინასიტყვაობაშიაც არის აღნიშნული, ასეთი ანგარიშების ასეთი ფორმით გამოცემა, პერიოდულად განზრახავს აღმასრულებელ კომიტეტს, რაც ფრიად სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

აღარ უნდა მტკიცება იმ ფაქტს, რომ ტფილისი, როგორც საქართველოს დედაქალაქი, ისეთ ცენტრს წარმოადგენს, რომლის მთელი კულტურული და ეკონომიური შემოქმედება სანიმუშო და საბაძველითი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის სხვა დაბა-ქალაქებისათვის და საერთოდ მთელი პერიფერიისათვის.

დედაქალაქის მრავალ ფეროვანი ცხოვრება, მისი სიცოცხლის მაჯის-ცემა და შემოქმედების იმპულსი, იმავე დროს აძლევს ტონს სხვა კუთხეებსა და ახალ, ჯერ უცნობ პოტენციას ჰმატებს შემდეგში სამოღვაწეოთ.

ჩვენ ვიცით, რომ წარსულში, საქართველოს სხვა ქალაქების თვითმართველობის ორგანოები ხშირად აგზავნიდენ ტფილისის თვითმართველობაში სპეციალურად თავის თანამშრომლებს, რომ გასცნობოდნენ უკანასკნელის მოქმედების ანგარიშებს, რომ მათი საქმიანობის მოსაწონი სისტემა ადგილობრივ შემოეღოთ და საკუთარი ქალაქის მუნიციპალური საქმეები, ტფილისის ქალაქის მუნიციპალიტეტის მზგავსად წარემძღვარებიათ.

და დღეს, როდესაც ტფილისის ქალაქის აღმასკომის მოქმედების ანგარიშები შეკრებილია და მომავალშიაც იკრიბება და ყალიბდება ერთ წიგნში, იგი ხელმისაწვდომია არა მარტო სპეციალური დანიშნულების პირებისათვის, არამედ ყველა დაინტერესებული ორგანოებისათვის; ამავე დროს ისპობა ის ტექნიკური ხასიათის დაბრკოლებანი, რომელიც წინეთ მრავალ ქალაქს უშლიდა ხელს გამოეგზავნა თანამშრომელი ტფილისის ქალაქის თვითმართველობის არქივებში, მასალების და ინფორმაციის საძებრად.

აღნიშნული წიგნის გამოსვლით, იმის გარდა, რომ 1921 წლის ანგარიშების ეპოქალურმა ხასიათმა სისტემატიური სახე მიიღო, მასვე ეძლევა ჯეროვანი სამეცნიერო მნიშვნელობა მომავალი ისტორიკოსისათვის და ეკონომიური დარგებში მკვლევარისათვის.

ამ წიგნში გარკვევით არის აღნიშნული, რომ მისი გამოსვლის ერთ მიზანს შეადგენდა, დავიწყებას არ მისცემოდა ის შემთხვევანი და დიდ საქმეთა წარმოებანი, რომლებიც ხშირად არქივების მტვრის მსხვერპლი ხდებიან და მომავალ თაობას ერთმევა საშუალება წარსული ნამოღვაწარის სისწორით და სრული სახით აღდგენისა. ამის თავიდან ასაცილებლად წინამდებარე გამოცემა ახდენს ფისკალიას ქალაქის მდიდარი სტატისტიკისაც და ერთ ფორმაში ახამს არსებული მასალების მთელ კომბინაციას.

წიგნი არ შეიცავს ვრცელ დეტალებს, ის მხოლოდ სქემატიური მიმოხილვაა სხვა და სხვა განყოფილებათა ნამოქმედარისა, ამ მოკლე ხანში არც შეიძლებოდა უფრო ვრცელი ანალიზი აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობისა ვინაიდან ეს უფრო გაცილებით მეტ დროს მოითხოვდა, ვიდრე ეს იყო გამომცემელთა ხელში.

მაგრამ ამის მიუხედავად წიგნის ღირსება მაინც არ იჩრდილება.

აქ არის აურებელი სტატისტიკური ცნობები მოყვანილი. ყოველი, განყოფილების ანგარიში ციფრებით შეისწავლება. წიგნის 56 დიაგრამა და მრავალნი გრაფიკული მხარეები ამტკიცებენ, რომ ეს შრომა სერიოზული მუშაობის შედეგია.

ცხადია ამ ოთხი თვის მუშაობის ანგარიშებით არ შეისწავლება და დაფასდება აღმასრულებელი კომიტეტის ღვაწლი. ეს მიმდინარე წლის მხოლოდ პირველი ოთხი თვის მუშაობას შეეხება და ამით შეიძლება მარტოდენ პირველი ქალაქის საბჭოს მუშაობის დაფასება, ისიც არა სრული სახით, ვინაიდან უკანასკნელმა თავის მუშაობა ივნისის თვეებში დაასრულა და მეორე საბჭოს წევრებიც მიუდგომლად აღიარებენ და მართლაც აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავათ იმ აქტიური საქმიანობისა და ძლიერი ენერგიული შრომისა, რომელსაც ეწეოდა პირველი საბჭო, მან მაინც ვერ შეასრულა უნაკლოდ თავისი პოლიტიკური როლი, როგორც შეეფერებოდა ისეთ პოლიტიკო-ეკონომიურ ქალაქს, როგორიცაა ტფილისი საქართველოში.

ამის მიზეზებს ორი გარემოებით ხსნიან: ერთი ის, რომ ტფილისი არ არის დიდი სამრეწველო პროლეტარული ქალაქი, არამედ ის, უპირველეს ყოვლისა, არის წვრილ-ბურჟუაზიული, „ჩინოვნიკური" ქალაქი და ასეთ სოციალურ და ეკონომიურ ატმოსფერაში ტფილისის მუშათა და წითელ-არმიელთა საბჭომ შეიძლება დიდხანს ვერ შესძლოს იმ როლის შესრულება, რომელსაც ახდენს პეტროგრადის მოსკოვის საბჭოში.

მეორე შემაფერხებელ მიზეზათ დასახელებულია ის ფინანსიური კრიზისი, რაშიაც უხდებოდა მოქმედება პირველ საბჭოს. ჩვენი ბონების კურსის კატასტროფიული დაცემა უფსკრულის წინ აყენებდა მთელი ქალაქის სამეურნეო საქმეებს და ნერვების ძლიერი დაჭიმვა იყო საჭირო ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ამას მიუმატოთ ისიც რასაც ესე მიუდგომლად აღიარებენ აღნიშნული გამოცემის ავტორები: „ჩვენი აზრით, სწორედ ისინი, არა ნაკლებ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოების მიერ საქალაქო საქმეების მიმართ, იყო მიქცეული ჯეროვანი ყურადღება და არ იქმნა შესაფერისად დაფასებული. ტფილისის საბჭოს ფაქტიურ ხელმძღვანელებად აღმოჩნდენ ნაკლებ ავტორიტეტიანი და გავლენიანი ამხანაგები". (გ.4.) ამის თქმის მათ არც ეშინიათ და არც რცხვენიათ და ამაში არის მათი პირდაპირობის და მიუდგომლობის სიძლიერეც.

საერთოდ წიგნის გადაფურცვლა და პირველი საბჭოს პრაქტიკულ ნაბიჯების გაცნობა, სრულიად დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას სტოვებს და ამ ქაოტიურ მდგომარეობაში ამდენი საქმეების გაკეთებაც დიდი წარმატების სიმპტომია. და ვფიქრობთ, რომ აწმყო მეორე საბჭო გაცილებით უფრო მეტის გაკეთებას შესძლებს.

მ. თავზარაშვილი.

# ეკონომიური ცხოვრება

**ტყიბულა-შორაპნის მრეწველობა.** ტყიბულის მაღაროები და შორაპნის ცეცხლის მძლე ნაწარმოებთა ქარხანა „შრომა" ა. წ. აპრილიდან გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე და გაერთიანებული ერთ მმართველობაში „ტყვიბულ-შორაპნის მრეწველობაში",

მუშაობის დაწყება მეტად ძნელ პირობებში მოხდა: საწარმოო თანხის უქონლობა, დავალიანება, საჭირო მასალების უქონლობა და ტყვიბულის ნახშირისათვის ბაზრის დახურვა, რაც აიხსნება ნახშირის ფასების ცუდი რეპუტაციით ბაზარზე.

მართლაც ტყვიბულის ნახშირი ღირსებით ჩამოუვარდება დონის მურავიოვის ტიპის საშვალო ღირსების ნახშირს,

მიუხედავათ ამისა მას მაინც დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ეკონომიურად წარმატებისათვის, თუ მისი დამუშავება მოხდება თანამედროვე ტეხნიკის მიხედვით, დამუშავება იყო პრიმიტიული.

პირველად ნახშირზე უარი სთქვა ტფილისის ტრამვაიმ, რომელიც ასაღებდა ყველაზე მეტს. მიზეზი ამისი იყო მუშა ხელის სიძვირე (ერთ ფუთზე 12.000 მანეთამდი) და რკინის გზის ტარიფი, რომელიც პრივილეგიას ქმნიდა ბოქოს ნავთის გადაზიდვისთვის და ხელს უშლიდა ამით ტყვიბულის მრეწველობას.

მრავალი ცდის და შუამავლობის შემდეგ, რკინის გზა დასთანხმდა ტარიფის დაწევას.

ტრამვაის მიერ წარმოებულმა ცდებმა ტყვიბულის ნახშირით დაანახვა მას, რომ შეიძლებოდა ეკონომიის გაკეთება 5-პროც., რაც წელიწადში უდრის 1.000.000.000 მ. ეკონომიას.

ტრამვაის სისტემატიურად მიაქვს ნახშირი 2 აგვისტოდან. ეხლა უკვე სამი ქვაბი თბება ნახშირით, განზრახულია სხვა ქვაბების გადაყვანა ნახშირზე, რისთვისაც საჭირო იქნება თვიურად 80.000 ფუთი.

ასეთივე შედეგი მისცა რკინის გზას ორთქლმავლების ნახშირზე გადაყვანამ, რის შემდეგაც ამ დღეებში რკინის გზის მმართველობა დასდებს ხელშეკრულობას 1.000.000 ფ. ნახშირის მიწოდების შესახებ 6 თვის განმავლობაში.

რამდენიმე თვის წინად გაგზავნილ იქნა ნახშირი ბათომში, სადაც რეპუტაცია მეტად ცუდი იყო; შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა. მმართველობამ გახსნა თავისი საწყობი იქ, საიდანაც გაიყიდა რამდენიმე ათეული ათასი ფუთი ნახშირი და დასდო ხელშეკრულობა 2 თვის განმავლობაში 300,000 ფუთი ნახშირის მიწოდების შესახებ.

ამ დღეებში დაიდო ხელშეკრულება მ. უ. ს. სათბობ განყოფილებასთან ნახშირის ამოღებასა და გაზავნის გვიხატავს შემდეგი ცხრილი:

| | ამოღება | გაზავნა |
|---|---|---|
| აპრილი | 136.585 ფუთი | 80.769 ფ. |
| მაისი | 167.235 " | 54.624 ფ. |
| ივნისი | 100.490 " | 26.183 ფ. |
| ივლისი | 119.010 " | 37.874 ფ. |
| აგვისტო | 120.000 " | 45.383 ფ. |

ამოღებას ხელს უშლის მუშა ხელისა და ბ[illegible] უქონლობა და საწყობების [illegible].

როდესაც დაიწყება ნახშირის გაგზავნა, განზრახულია მუშების ნაწილის ქარხანა „შრომიდან" გადაყვანა.

თუ მუშა ხელი საკმაოდ იქნება, მახლობელ თვეებში ამოღება განზრახულია 250—300,000 ფ. თვიურად, ხოლო 3—5 თვის შემდეგ 400—450,000 ფუთამდი თვიურად.

მუშაობის ნაყოფიერება თანდათან იზრდება: აპრილში იყო 10,1, მაისში—13,4, ივნისში—13,5 ივლისში—14,5 და აგვისტოში 14,5.

# სასურსათო გადასახადის კამპანია

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობებით, რომელიც მიღებულია სექტემბრის 18-სთვის, აღმოსავლეთ საქართველოს ცხრა მაზრაში, სადაც ნატურ-გადასახადის შეგროვება დაწყებულია, ხორბლის ერთეულით სულ აკრებილია 185,832 ფუთი.

აქვე მოგვყავს ცხრილი იმისა, თუ თვითეულ იმ მაზრას, სადაც წერეტანდელი გადასახადის შეგროვება დაწყებულია, რამდენი აქვს შეწერილი ხორბლეულის ერთეულით, რამდენი აქვს გადახდილი სექტემბრის 13 დე და შეწერილი გადასახადის რამდენ პროცენტს შეადგენს აკრეფილი გადასახადი.

| მაზრები. | რამდენი ფუთი აქვს შეწერილი 1922 წლისთვის | რამდენია აკრებილი ხორბლეულის ერთეულით? | აკრებილი გადასახადი შეწერილ გადასახადის რამდენ პროცენტს შეადგენს? |
|---|---|---|---|
| 1. თელავის მაზრა | 60.000 ფ. | 36.180 ფ. | 60 3 |
| 2. გორის მაზრა | 100.000 ფ. | 58.858 ფ. | 58.8 |
| 3. სამხრეთ-ოსეთი | 20.000 ფ. | 9.762 ფ. | 48.8 |
| 4. სიღნაღის მაზრა | 100.000 ფ. | 40.262 ფ. | 40 2 |
| 5. ტფილისის მაზრა | 70.000 ფ. | 22.900 ფ. | 32,7 |
| 6. თიანეთის მაზრა | 20 000 ფ. | 3 608 ფ. | 18.0 |
| 7. ახალციხის მაზრა | 60.000 ფ. | 8.731 ფ. | 14.5 |
| 8. დუშეთის მაზრა | 35.000 ფ. | 3.094 ფ. | 8.5 |
| 9. ბორჩალოს მაზრა | 80.000 ფ. | 1 937 ფ. | 2 4 |

**1921 წლის ნატურ-გადასახადის ნარჩენი.** შარშანდელ ნატურ-გადასახადის ნარჩენი ამ ჟამად იკრიბება აღმოსავლეთ საქართველოს ხუთ მაზრაში, სახელდობრ: ახალქალაქისა, ახალციხისა, ბორჩალოსა, ტფილისისა და თიანეთისაში, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს ორ მაზრაში რაჭისა და შორაპნისაში.

ყველაზე კარგად ნარჩენის შეგროვება ბორჩალოს მაზრაში მიმდინარეობს, სადაც სექტემბრის 13-მდე ოფიც. დოკუმენტალურ ცნობით, შეგროვილია ხორბლეულის ერთეულით 12,829 ფუთი, რაიც ამ მაზრაზე დარჩენილ გადასახადის 16,2 პროცენტს შეადგენს.

ახალ-ციხის მაზრაში აკრებილია 3.756 ფ. ანუ 10,9 პროც. ტფილისის მაზრაში 4.573 ფ. ანუ 7,8 პროც. თიანეთის მაზრაში—1.195 ფ. ანუ 4,1 პროც. ახალქალაქის მაზრაში—293 ფ, ანუ 1,8 პროც.

დასავლეთ საქართველოში შარშანდელ ნატურ-გადასახადის ნარჩენი გროვდება ცუდად. ეს ფული რომ ხორბლის ერთეულით გადავაქციოთ, მაშინ გამოდის, რომ რაჭის მაზრაში შეგროვილია 1891 ფ. ანუ 24,4 პროცენტი, ხოლო შორაპნის მაზრაში—350 ფუთი.

სულ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს 7 მაზრაში, სადაც ნარჩენის შეგროვება დაწყებულია, ხორბლეული ერთეულით შემოსულია 24.886 ფუთი.

# პროვინციის ცხოვრება

**ნიაღვარი ახალციხის მაზრაში.** 8 სექტემბერს მთელ მაზრაში მოვიდა დიდი ნიაღვარი. წყლებმა კობლიან ჩაი, აბასთუმანკა, ფოცხოვ ჩაი ნაპირებიდან გადმოვიდა და დაფარა დიდი არე. ნიაღვარმა დიდი ზიანი მიაყენა სიმინდის ნათესს, რომელიც წყლის ნაპირებზეა. ზოგიერთ ადგილებში მოსავალი სრულიად დაიღუპა. ნიაღვარმა დიდი ზიანი მიაყენა ტყის დამზადების საქმეს. სამხედრო უწყების მიერ დამზადებული 3500 ქორთუბი სრულიად წაიღო გადიდებულმა წყალმა, წაღებულია აგრეთვე სამაზრო აღმასკომის მიერ დამზადებული შეშა 400 კუბის რაოდენობისა. მიღებულია ზომები წაღებულ ქორთუბების გადასარჩენად.

**ნებართვის აკრძალვა.** თანახმად ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატის ბათომის განყოფილების განკარგულებისა საზღვარგარეთ საქონლის გატანაზე არსებულ ნებართვის მეორე პირზე გადაცემა სასტიკად აკრძალულია. ამ დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავეთ ჩამოერთმევათ აღნიშნული ნებართვები და მიეცემიან პასუხისგებაში.

**ქობულეთის ქალაქად გამოცხადება.** აჭარის ცენტრ-აღმასკომის დადგენილებით, ქობულეთი გამოცხადებულია კურორტ ქალაქად. ტერიტორიად ჩაითვლება ყველა ქალაქის ადგილები და მოსახლეობის ეზოები. აგრეთვე ქალაქთან მდებარე მახლობელი ადგილები, დაწყებული მდინარე ბახვის შესართავიდან ზღვასთან გასწვრივ რკინის გზის ხიდამდი; შემდეგ რკინის გზის ლიანდაგის მიმართულებით მდინარე კინტრიშის და დასავლეთ კორტის მიდამოებით, ფარეგლებში შედის აგრეთვე არხამური, ფიჭნარი, შავი მდინარე, დეხვი და სატყეო რაიონები ტოგონი და ჩოლოქი.

**აჭარის რუკის შედგენა.** სახ. კომსაბჭოს განზრახვა—აჭარის რუკის შედგენის შესახებ, სისრულეში იქნა მოყვანილი. რუკა არის დიდი ზომის და დახატულია კარგი ღირსების ქაღალდზე. ახლო მომავალში წარდგენილი იქნება შინაგან საქმეთა კომისარიატში პროექტი, აჭარის ადმინისტრატიულად ხელ-ახლა გადამიჯვნის შესახებ. განზრახულია დასტოვონ მხოლოდ: ხულოს, ქედას და ქობულეთის მაზრები. დღემდე იყო ოთხი მაზრა. ამისდა მიხედვით მოხდება აგრეთვე თემების გადამიჯვნა.

**კოხის შედეგები.** ახალქალაქში თემთა აღმასკომების უკანასკნელ ყრილობაზე მიღებულ ინფორმაციის თანახმად, კოხის შედეგები გაზვიადებულია. აზრი 50 პროცენტით მოსავლის დაზარალებისა არ არის მართალი. ზარალი დაახლოებით უდრის 25 პროცენტს. ყველაზე უფრო დაზარალდა სოფ. გორელოვკა, რომელსაც გაუნახევრეს სასურსათო გადასახადი.

**დამზღვევი კასა.** ახალციხეში პროფკავშირთა მეცადინეობით დაარსდა დამზღვევი კასა, რომლის საჭიროება მეტად მწვავედ იდგა. სუსტად არის კასა მატერიალური რესურსებით, რადგან საბჭოთა დაწესებულებებს არა აქვს საშუალება შეიტანონ კასაში გადასახადები. განზრახულია მთელი რიგი წარმოდგენების გამართვა, მაგრამ შემოსავლის იმედი მაინც დიდი არ არის.

**ბირჟის ეკვიპაჟი.** ბათომის ბირჟის

დეფიციტი 15 თებერვლიდან 29 აგვისტომდე უდრის 193 მილ. მანეთს, დეფიციტი დაფარულია სესხებით კოოპერატიულ დაწესებულებებიდან და კერძო პირებიდანაც.

მუშათა დაზღვევა. დამზღვევი საბჭოს მიერ ბათომის მუშათა დაზღვევისათვის შექმნილია ფონდი 40 მილიონი, აგვისტოში გაცემულია დახმარებით 3 მილიონი მანეთი.

იურიდიული დახმარება მუშების იუსტიციის კომისარიატთან დაარსდა ბიურო უფასოდ იურიდიული დახმარებისათვის, რომლითაც შეუძლია სარგებლობა პროფკავშირთა წევრებს.

სვანეთის ცხოვრება. ლეჩხუმის მაზრის ჯანმრთელობის დამცველი განყოფილებმა გადმოგზავნა სახ. ჯანმრთელობის კომისარიატში დაწვრილებითი ანგარიში სვანეთის მედიცინურ-სანიტარულ მდგომარეობის შესახებ. მოგვყავს ცნობები შემოკლებით: საერთო სივრცე ზემო-სვანეთისა უდრის—248,268 დესიატინას. მოსახლეობას უმაღლესი ადგილები უჭირავს ზღვის დონიდან 7.000 ფუტის მანძილზე, უმდაბლესი—4,000—5,000 ფუტის მანძილზე. ბუნებრივი სიმდიდრით დაჯილდოვებულია სვანეთი. აქ არის მრავალგვარი მინერალური წყლები როგორც ცივი, ისე თბილი. წყლებით მცხოვრებლები ნახულობენ სარგებლობას, მაგრამ ხშირად ზიანსაც, რადგან გაშლილ ჰაერში ავადმყოფების ბანაობას ხშირად მოაქვს უარყოფითი შედეგები.

მედიცინურ-სანიტარული პირობების შექმნისათვის საჭიროა ადგილის ხელბაში, სადაც არის გადგირდოვანი წყარო, მოწყობილ იქნეს ბინა აბანოსათვის. აგრეთვე საჭიროა ორი სავადმყოფოს გახსნა. მცხოვრებნი მეტად ნდობით ეპყრობიან ექიმებს. ავადმყოფთა რიცხვი თვის განმავლობაში არასოდეს არ აღემატება—100. ზემო სვანეთში არის დიდი საჭიროება კბილის ექიმის. ბავშვებში ფართო ხასიათი აქვს ტუბერკულიოზს, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი პირობები სვანეთისა ამის საწინააღმდეგოდ მოქმედებს. ტუბერკულიოზი შედეგია ცუდი ჰიგიენური პირობების. „ისპანკა" მუსრს ავლებს აქაურ მცხოვრებს.

# მოწერილი ამბები

## მოწერილი ამბები.

ტობანიერის თემი (სამტრედიის რაიონი) შარშანდელმა მოუსავლობამ წელში გატეხა აქაური გლეხკაცობა. წელს მოსავალს კარგი პირი უჩანდა და ხალხი იმედით ცხოვრობდა. ჯერ მოსავალი დამწიფებულიც არ იყო, რომ ქუთაისის სამაზრო ნატურ ბეგარის გადამხდელ კომისიამ 3.026 ფუთი სიმინდი შეაწერა ტობანიერის თემს. ნათქვამია, საწყალ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო, სწორედ ზედ გამოჭრილი შეიქმნა ეს თქმულება ჩვენი თემისათვის. 6 სექტემბერს ამოვარდა ქარი და დაამტვრია სიმინდები. 7 სექტემბერს ნაშუადღევს დაიწყო დიდი წვიმები და ღამის 2 საათზე ადიდდა მდინარე ყუმური, გადმოვიდა თავის კალაპოტიდან, გაანადგურა მთელი ყანები, დაალიანა შენობები, წალეკა ფრინველები და წვრილი ოთხფეხი საქონელი. 8 სექტ. ისევ სწვიმდა, ხელ მეორედ გადმოვიდა მდინარე საათის 12-ზე და რაც წინა ღამით გადაურჩა გაუნადგურებელი, მთლად მოსპო, აავსო სილით ახლად გაყვანილი არხის ნაწილი, გაიტაცა ხიდ-ბოგირების მასალები, დაარღვია ღობეები და სახლები. ზარალი მილიარდებითაა. ისეც გაჭირვებული ხალხი დღეს მთლად განადგურებულია. საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება ზარალის გამოსარკვევად და საჭიროა საჩქარო დახმარება.

ერთ თვეზე მეტია სხვა ავადმყოფობასთან ერთად ჩვენს თემში მძვინვარებს ციებ-ცხელება, აფთიაქში წამალი არ იშოვება და რომც იშოვებოდეს, გაღატაკებულ ხალხს არც ფული აქვს და არც სხვა რამ საშვალება მის შესაძენად.

საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს, გამოგზავნა საექიმო დამხმარე პერსონალების უფასო წამლებით.

წყალდიდობით აგრეთვე დიდი ზარალი ნახა ვანის რაიონმა და საპაიქაოს თემმაც.

ბ. გამწარდაშვილი.

ქუთაისის მაზრაში მოსავლის შედეგები- აგვისტოს განმავლობაში სასოფლო მეურნეობის ყოველ გვარი ნათესი მაზრაში დაზიანდა, ამის მიზეზი იყო განუწყვეტელი წვიმები, რომელიც ყოველ დღიურად მოდიოდა მთელი აგვისტოს განმავლობაში. წვიმების გამო სიმინდის დამწიფება შეფერხდა, რაც საფრთხეში აგდებს მიმდინარე წლის მოსავალს. საერთოდ სიმინდი, რომელსაც კარგი პირი უჩანდა, პირველი სექტემბრიდან შეიძლება ჩაითვალოს საშუალოზე უკეთესად. გამონაკლისს შეადგენს ზეკარის და გორდის თემი, სადაც სიმინდის მოსავალი საშუალოზე დაბალია. ზეკარში სიმინდი დაზიანდა მინდვრის თაგვებიდან, გორდიში წვიმისა და ღრუბლიანი ამინდისაგან. ყურძენი მაზრის ყველა ადგილებში ცუდ მდგომარეობაშია, მოსავალი უნდა იქნეს ძლიერ ნაკლები, რაც მეტად აწუხებს სვირის და ბაღდადის რაიონებს, რომელთათვის მევენახეობა და მეღვინეობა არის მთავარი საარსებო წყარო.

ხილეულს და ბოსტნეულს საუკეთესო პირი უჩანს. იშვიათად თუ ყოფილა მაზრაში საზამთროს, ნესვის და სხვა ხილეულის ისეთი მოსავალი, როგორიცაა წელს. საუბედუროდ ტრანსპორტის მდგომარეობა ნებას არ აძლევს მწარმოებლებს მოსავალი ხელსაყრელ ფასებში გაანაღდონ. ბაღების და ბოსტნეულის მთელი მოსავალი ადგილებზევე დარჩა და იყიდება ძლიერ დაკლებულ ფასებში. მაგალითად: მსხალი საუკეთესო ხარისხის ფასობს 1 და 2 ათას მანეთი გირვ, ატამი 2—3 ათასი გირ, ლეღვი 2—3 ათასი გირ. ეს ფასია მეხილეების. გლეხებისაგან კი შეიძლება იყიდოთ ხილით სავსე კალათ, 15—20 გირ. 8—10 ათ. მან., ლეღვა კალათი 6—10 გ. იყიდება 4—6 ათ. მანეთად. საუკეთესო საზამთრო 8—10 გირ. იყიდება 6—8 ათას მანეთად და სხვა. სხვათა შორის მიმდინარე წელს იყო ალუბლის საუკეთესო მოსავალი, რაც გამონაკლისს შეადგენს ქუთაისის მაზრისათვის.

საერთოდ მიმდინარე წელს, თუ სიმინდი მომავალში არ დაზიანდა, ქუთაისის მაზრა იქნება საკმაოდ კარგ პირობებში საკუთარი წარმოების პროდუქტებით უზრუნველყოფის მხრივ.

ახალგაზრდათა საერთაშორისო დღე ქ. ქუთაისში! 3-სექტემბერი ღირსეულად იდღესასწაულა ქ. ქუთაისის რევოლიუციონურმა ახალგაზრდობამ.

ამ დღეს მშრომელმა მასამ, რევოლიუციონურმა ახალგაზრდობამ, საქართველოს და რუსეთის წითელ არმიელებმა, შევარდენმა და საყოველთაო სწავლის მოვარჯიშეებმა თავი მოიყარა სადღესასწაულოდ მორთულ ქალაქის ბაღში, სადაც გაიმართა მიტინგი. ამხ. თ. გაბარაშვილმა ქუთაისის ახალგაზრდობის კომკავშირის დავალებით მიტინგი გახსნილად გამოაცხადა და ამავე კავშირის სახელით მიესალმა მშრომელ ახალგაზრდობას, რომელმაც აღნიშნა, რომ „რევოლიუციონური ახალგაზრდობის ვალს შეადგენს შექმნას გაერთიანებული ფრონტი კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად".

ქუთმაზრკომის სახელით ხიტყვას ამბობს ამხ. გ. ძიგრაშვილი, რომელიც შეეხო ახალგაზრდობის მოძრაობის ისტორიას. მემარცხენე სოც.-ფედ. სარ. პარ. ახალგაზრდათა კომიტეტის სახელით ამხ. ბ. ქლენტი, რომელმაც მხურვალე სალამი უძკვნა მათ და ზიზღითა და კრულვით მოიხსენია ყველა ისინი, ვინც უღალატა მშრომელთა კლასს, ვინც უღალატა რევოლიუციას და დღეს კონტრ-რევოლიუციას ზურგს უმაგრებს. ზიზღი აგრეთვე მათ, ვინც ეროვნების დასამარების საქმეს ემსახურება და პატივს არ სცემს ეროვნულ იდეას, ეროვნულ თავისუფლებას.

შემდეგ წითელი არმიელების სახელით ესალმებიან განჩაროვი, აღმასკომის სახელით პ. ბახტაძე და პროფკავშირების სახელით ა. სტურუა.

ამის შემდეგ მიტინგი დაიხურა და მით დასრულდა დღესასწაული.

ნოე მესხი.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ამხ. რედაქტორო! ნება მომეცით თქენს გაზეთში მოვათავსო შემდეგი: თქვენი გაზეთის „ტრიბუნის" 292 ნომერში მოთავსებულია მოქ. ლაფერაშვილის წერილი, ვითომ საპასუხოთ ჩემს წერილზე, რომელიც მქონდა მოთავსებული „კომუნისტის" 201-ში მაქსიმეს წინააღმდეგ. როგორც სჩანს, სინამდვილემ გული დასწვა ბატონ ლაფერაშვილს: პირველად მე მოვითხოვ მოქ. ი. ლაფერაშვილისაგან უკან წაიღოს მისი ჩემდამი მომართვა სიტყვა ამხანაგით. მე სამარცხვინოდ მიმაჩნია ვიყო ლაფერაშვილის ამხანაგი, ვინაიდან ლაფერაშვილი ეკუთვნის იმ ჯგუფს, რომლებიც მსახურობენ საბჭოთა სხვა და სხვა დაწესებულებაში, სარგებლობენ თანამშრომელთა ყოველივე უფლებით და საიდუმლოთ მოქმედებენ საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟის დასაცემად და მზად არიან ყოველგვარი თავის არა ადამიანურ საქციელით მახვილი ჩასცენ მას ზურგში. მაგრამ მათ სათითაოდ აძლევს პასუხს მუშურ-გლეხური ხელისუფლება. მეორე,—ზედმეტად მიმაჩნია გაზეთის ფურცელზე კამათი, ვინაიდან არ მაქვს არავითარი უფლება სასამართლოს გარეშე გამოვაქვეყნო ის დოკუმენტები, რომლებიც მაქვს ხელში როგორც ლაფერაშვილზე, ისე „მაქსიმე"-სა და მის კომპანიაზე. ამის შესახებ სასამართლოში.

ეხლა ხელმეორედ ვთხოვთ რედაქციას ან მიიღოს თავის თავზე პასუხისმგებლობა მაქსიმეს წერილზე, ან გამოაქვეყნოს მაქსიმეს ვინაობა. თუმცა და მე კარგად ვიცნობ ბატონ „მაქსიმეს", მაგრამ მინდა მკითხველმა საზოგადოებამ გაიცნოს ის და თვით განიხილოს მისი პიროვნება.

ქალ. ტფილ. და მის მაზრის სამხედრო კომის. გრ. კობიძე.

რედაქციის შენიშვნა: რედაქცია არ არის ვალდებული დაუსახელოს ამხ. კობიძეს წერილის ავტორი, მით უფრო, რომ როგორც თვითონვე სწერს, მას სცოდნია ავტორის ვინაობა. მეორეც ამხ. „მაქსიმე" უკვე გამოცხადდა გამომძიებელთან და ჩვენება ჩააბარა. მესამე: ამხ. „მაქსიმემ" უკვე დანიშნა თავის რწმუნებული, რაც გამოაცხადა გაზეთში (იხ. „ტრიბუნა" № 286) და არ აგებს პასუხს. რედაქცია კი ავტორს დაუსახელებს მხოლოდ სასამართლოს.

## პასუხი

**ამხ. მაქს—იმეს და გ. კობიძეს.**

თქვენს რწმუნებულებას ვღებულობ თავის თავზე. ამასთან ერთად ორთავეს გირჩევდით შეთანხმებულიყავით სამედიატორო სასამართლოზე, თუ მიიღებს მხედველობაში ამხ. გ. კობიძე იმ დებულებას, რომ მაქს—იმეს თავის წერილში და მხედველობაში გ. კობიძე არ ყოლია, არამედ ის ეხებოდა ზოგიერთ პიროვნებებს, რომელთაც სრული უფლება რჩება თუ სამედიატორო სასამართლოზე არ დათანხმდებიან, ტრიბუნას გადასცენ საქმე გასარჩევად. რაც შეეხება თ. ჩიქოვანის საქმეს, ის ცალკე არის გამოყოფილი და როგორც თვით მაქს—იმეს აგრეთვე ზოგიერთ მოწმეებს ჩვენება ჩამოართვეს კიდეც.

პატივისცემით ან. ქლენტი, კაციაშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი

**დავკარგე** მოწმობა რომელიც მქონდა მიღებული მეხუთე უბნის მილიციის უფროსისაგან ... ყირიმსკაია ქ. ... ქუთ ... ბრიჩნი" შესახვევი № 4 ხუბისრაფიონ მუსურდაევი.

**დავკარგე** პირადობის მოწმობა და რეგისტრაციის ქაღალდი. ვსთვლი გაუქმებულად.

**სამსონ ნესტორის ძე ქველიძე.**

# ტფილისში ტვირთ-ზიდვის გადასახადის გამტარებელი კომისია

წინანდელ დადგენილებათა შესაცვლელად ტფილისის ქალ. აღმასკომის სავალდებულო დადგენილების № 6 § 1 თანახმად ამით აცხადებს, რომ ა. წ. 19 სექტემბრიდან მოქალაქენი, რომელზედაც ვრცელდება ტვირთზიდვის გადასახადი:

500,000 მან. მაგიერ უნდა გადაიხადონ 550,000 მან.
1,000,000 მ. მაგიერად 1,100,000 მან.
1,200,000 მ. „ 1,320,000 მან.

ეს დადგენილება ძალაშია განსაკუთრებულ გამოცემამდი.

1—1 პასუხისმგებელი მდივანი ა. რუხაძე.

# სავალდებულო დადგენილება № 11

## ტფილისის აღმასკომისა, 16 სექტ. 1922 წელს.

## ტფილისის აღმასკომის მიერ გამოცემულ სავალდებულო დადგენილების, 24 ივლისის 1922 წ. № 6 შრომის ხარკის გადახდის წესების შესახებ,

პირველი პარაგრაფის დასამატებლად

ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა

**დაადგინა:**

ყოველ ერთეულ მუშა საქონლისაგან, ორი ცალზე ზევით, აკრეფილ იქმნას შრომის ბეგრის სახით

**ხუთი მანეთი ოქროთი.**

აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე: წივწივაძე.

2—2 მდივანი: გ. ხუნდაძე.

# ტფილისის აღმასკომთან

## არსებული კომისია

## ტფილისში შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის ფულით შეცვლის შესახებ,

აქვეყნებს საყოველთაო ცნობისათვის, რომ ის პირნი, რომელნიც არ შეიტანენ შრომის და ტვირთზიდვის გადასახადს ამა წლის სექტემბრის 18 მდე, გადაიხდიან ზედმეტს შრომისა და ტვირთზიდვის ხარკის გაწერილ თანხაზე, ორმოცდაათი (50) ათასი მანეთის რაოდენობით ყოველ გაშვებულ დღისათვის.

კომისიის თავმჯდომარე დ. თაქთაქიშვილი.

პასუხისმგებელი მდივანი.

წევრი კომისიისა—რუხაძე.

2—2

# განცხადება

## ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატისა

ფინანსთა სახალხო კომისარიატი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1922 წ. ოქტომბრის 1-ლს რესპუბლიკის ხაზინებში, სახალხო ბანკში და მის განყოფილებებში

**შეწყდება გადაცვლა რ. ს. ფ. ს. რ. ფულის ნიშნების, რომელნიც გამოსულია 1922 წლამდე.**

სახელმწიფოებრივ, კოოპერატიულ, საზოგადოებრივ დაწესებულებებმა და კერძო პირებმა, რომელთაც სურს გადაცვლა რ. ს. ს. რ. ფულის ნიშნების უნდა წარმართონ გადაცვლისათვის სახ. ბანკს ოქტომბრის 1-მდე, მის განყოფილებებს და ტფილისის, ქუთაისის, და ბათომის ხაზინებს, რომელნიც კასის ანგარიშის გაწევით აწარმოებენ ფულის ნიშნების გამოცვლას ან მისცემენ სათანადო კვიტანციებს.

კვიტანციების მიხედვით დაწესებულებებს მიეცემათ ფული ამავე დაწესებულებებში ფულის დაგროვების რაოდენობით.

ფინანსთა სახალხო კომისარიატი

ტირაჟი 1000 ხელმოწ., ჟურნ. მუშ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. № 2 სტამბა. კოლექტ... ქუჩა, ს. ფ. ს. ც.